ბრძანება:**ბ112. 1122331940**
თარიღი:**15/11/2023**

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების

პრივატიზებისთვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა
და

აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების
შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, მეორე თავის მე-13-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ'' 2023 წლის 31 ოქტომბრის აუდიტის დასკვნა N495, 2023 წლის 14 სექტემბრის აუდიტის დასკვნა N399, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლი 3 ნოემბრის Nგ-113.113233071 და 2023 3 ნოემბრის Nგ-113.113233072 განკარგულებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დანართი N1 წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს უპირობო ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge.

5. .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.ახალციხე, კ.მებაღიშვილის ქ.62).

6. .ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა ქიმაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი